

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1. თამაში

ვასიკომ ფურცელზე დაწერა რიცხვები 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. ვასიკო და პაატა მორიგეობით (ვასიკო იწყებს) გადახაზავენ სამ-სამ რიცხვს მანამ, სანამ ორი რიცხვი არ დარჩება. ვასიკო პაატას იმდენ ლარს მოუგებს, რასაც უდრის ამ ორი რიცხვის სხვაობა.

რა მაქსიმალური მოგება შეიძლება მიიღოს ვასიკომ ორივე მოთამაშის სწორი თამაშის შედეგად?

პასუხი დაასაბუთეთ.

ამოცანა 2: ტაფა და კატლეტები

გაქვთ ტაფა, რომელზეც ეტევა 2 კატლეთი. კატლეთის თითოეული გვერდის შენვას ჭირდება 6 ნუთი.

რა მინიმალურ დროში შეიძლება შეიწვას ამ ტაფაზე 3 კატლეთი?

პასუხი დაასაბუთეთ.

ამოცანა 3. ფურცლები

გვაქვს 872 ცალი ფურცლის ნაგლეჯი. აიღეს რამდენიმე მათგანი და თითოეული დახიეს 4 ნაწილად, რის შედეგად მიიღეს სულ 1484 ნაგლეჯი.

რამდენი ფურცლის ნაგლეჯი დაუხევიათ?

პასუხი დაასაბუთეთ.

ამოცანა 4: ნინო კონკურსზე

კონკურსზე ნინო ყოველ 3-ქულიანი ამოცანის ამოხსნაზე ხარჯავს 2 წუთს, 4-ქულიანი ამოცანის ამოხსნაზე – 3 წუთს, ხოლო 5-ქულიანზე - 5 წუთს.

რა უდიდესი რაოდენობის ქულების დაგროვება შეუძლია მას 15 წუთში? პასუხი დაასაბუთეთ.

ამოცანა 5. რიცხვებით თამაში

სამმა მეგობარმა, გიამ, დათომ და მიშიკომ ასეთი თამაში მოიგონეს:

გია დაწერს ფურცელზე მიმდევრობით ოთხ ნატურალურ რიცხვს ისე, რომ მესამე რიცხვი პირველისა და მეორის ჯამის ტოლია, ხოლო მეოთხე რიცხვი უდრის პირველისა და მეორის ნამრავლს. ამის შემდეგ ფურცელს გადასცემს დათოს;

დათო ამ ოთხი რიცხვიდან რომელიღაც ორს ნაშლის და მათ ადგილზე ჩაწერს ნულიანებს. ამის შემდეგ ფურცელს გადასცემს მიშიკოს.

მიშიკომ უნდა გამოიყენოს და აღადგინოს ნაშლილი რიცხვები.

თქვენც მიიღეთ მონაწილეობა მათ თამაშში და პასუხი გაეცით შემდეგ შეკითხვებს:

1. მიშიკომ დათოსაგან მიიღო ფურცელი, რომელზეც წერია: 3, 0, 0, 12
აღდგენის შემდეგ მიშიკომ მიიღო: 3, 4, 7, 12
სწორად აღადგინა მიშიკომ გიას ოთხეული? (უპასუხეთ «დიახ» ან «არა»)
2. მიშიკომ დათოსაგან მიიღო ფურცელი, რომელზეც წერია: 0, 15, 0, 45
აღდგენის შემდეგ მიშიკომ მიიღო: 4, 15, 19, 45
სწორად აღადგინა მიშიკომ გიას ოთხეული? (უპასუხეთ «დიახ» ან «არა»)
3. მიშიკომ დათოსაგან მიიღო ფურცელი, რომელზეც წერია: 12, 0, 0, 60
რა სახეს მიიღებს ეს ოთხეული ნაშლილი რიცხვების აღდგენის შემდეგ?
4. მიშიკომ დათოსაგან მიიღო ფურცელი, რომელზეც წერია: 0, 7, 11, 0
რა სახეს მიიღებს ეს ოთხეული ნაშლილი რიცხვების აღდგენის შემდეგ?
5. შეიძლება ისე მოხდეს, რომ თავდაპირველი ოთხეულის ზუსტად აღდგენა შეუძლებელი გახდეს. მოიყვანეთ ასეთი 2 მაგალითი:
6. შეეცადეთ, რაც შეიძლება ზუსტად ჩამოაყალიბოთ პირობა, როდესაც ნაშლილი რიცხვების ზუსტად აღდგენა შეუძლებელია: